**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

ეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-აბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

**საქართველოს**

**გეოგრაფია**

1 წიგნი

**სამცხე**

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ კავკასიის ქართულის სკოლის უფროსის მასწავლებლის (III და IV განყოფილებისა) ადგილი დაცლილია. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა შემოიტანოს თხოვნა გამგეობის სახელზე 10 მარიამობისთვემდე. მასწავლებელს აქვს ჯამაგირი 400 მანეთი, სახლი, შეშა და სანთელი; ჰყავს მსახურიც. სალმრთო სჯულისა და გალობის სწავლებისთვის დანიშნულია ცალკე ჯამაგირი. (10—1)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

**რუხი მგელი**

მოთხრობა გ. წერეთლისა

ფასი სამი შაური

(5—1)

**თეატრი „ანტეი“**

(მიხეილის ქუჩაზედ)

კვირას, 21 თიბათვეს

ქართულის თეატრის არტისტებისაგან ა. კ. ნებიერიძის მოთავეობით წარმოდგენილი იქნება:

I

**ბაიყუში**

კომ. 2 მოქ. ა. ცაგარლისა.

II

**ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი**

კომ. 1 მოქმედებად.

III

დიდი დივერტისმენტი და ლეკური

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნებიერიძისა, გურგენიძისა, ბ-ნი აბაშიძე, ნებიერიძე, მჭედლიშვილი, ადამიძე, და სხ.

ადგილების ფასები: ლოჟები 6 მან., 1 რიგი 2 მან., 2 რიგი 1—50 კ., დანარჩენები 1 მან., სკამი—50 კ., ბალში შესვლა 20 კ.

საღამოს ექვსს საითიდამ დაუკრავს სამხედრო მუსიკა

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

გამგე ა. ნებიერიძე


## ახალი ამბავი

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 15 ივნისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი: ახლად მოსული—35, მკვიდრი მცხოვრები—20, სულ 55. გარდაიცვალა: მოსული 32, მკვიდრი—7, სულ 39; კარგად გახდა: მოსული—10, მკვიდრი—4, სულ 14; საავადმყოფოში იმყოფება: მოსული—91, მკვიდრი—22, სულ 121; სამკურნალოს გარეშე ბაქოში გარდაცვლილა: მოსული—10, მკვიდრი—8, სულ 18; ბალახანაში ავად გახდა: მოსული—2, მკვიდრი—2, სულ 4; გარდაიცვალა: მოსული—1, მკვიდრი—1, სულ 2; ავად არის: მოსული—2, მკვიდრი—3, სულ 5; თეთრ ქალაქში ავად გახდა: მოსული—1, მკვიდრი1, სულ 2; 15 ივნისს თეთრ ქალაქში არავინ გარდაცვლილა; ავად არის: მოსული—3, მკვიდრი—1, სულ 4 კაცი.

*** ელისავეტოპოლის გუბერნატორი იუწყება: 14 ივნისს შუშას სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი 2 კაცი, სულ სამკურნალოში იყო—3, ამათში 2 გარდაიცვალა, დარჩა სამკურნალოში—1. ყველა ავადმყოფი ბაქოდგან მისულა. 15 ივნისს ხანების ბაღებთან ბაქოდგან მოსული 2 კაცი გახდა ავად და ორივე გარდაიცვალა. ამავე დღეს ჯევანშირის მაზრის, სოფ. ბარდაში ავად გახდა ხოლერით—1. 15 ივნისს შუშას სამკურნალოში მიიყვანეს ერთი ხოლერით ავადმყოფი.

ბარდაში ხოლერით ავად გამხდარი კაცი გარდაიცვალა.

*** ტფილისში ბაქოდგან ჩამოსული ხოლერით ავადმყოფი ტხორჟი ეხლა უკეთ არის; კიდევ ორი ხოლერით ავადმყოფი რჩება. გუშინ სამკურნალოში მიიყვანეს ბაქოდგან ჩამოსული ქალი ანისია სკობელევისა, რომელიც საღამოთი ხოლერით გახდა ავად. სკობელევისა საშიშოდ იყო ავად, მაჯა არ უცემდა, ეხლა-კი უკეთ არის.

*** რკინის გზის მმართველობამ ყველა სადგურზედ ყინულის შესანახად გაკეთებული ყუთები გაგზავნა და ამას გარდა ყველა სადგურებზედ პურსა ჰმზავნის მემაშინეთათვის, რადგანაც ხოლერით დაშინებულნი მემაშინეები ბაქოში პურს არა ყიდულობენ.

*** სასანიტარო მეთერთმეტე დასი, რომელშიაც იმყოფებიან ბ-ნი ნიკოლაძე, მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი და ქალაქის ინჟენერი ენფიანჯიანცი, ძლიერ გულ-მოდგინედ შეუდგა საქმეს. სხვათა შორის ამ დასმა დაათვალიერა ქალაქის საყასპოები და გადასწყვიტა, რომ ეს საყასპოები ისე უსუფთაოდ ყოფილა შენახული, რომ იმის დაწმენდა—დასუფთავება შეუძლებელია და ამის გამო ეს საყასპოები სულ უნდა გაუქმდეს და სხვა გაიმართოს.

*** ქალაქის მოურავმა სთხოვა გუბერნატორს, სააფთიაქო მაღაზიებსა და საწყობებს ნება მიეცით კვირაობით ვაჭრობისაო.

*** ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში წრეულ სწავლა დაამთავრეს 14 ყმაწვილმა კაცმა, სხვათა შორის: სარქ. ვართანოვმა, ვას. გაბულოვმა, ნესტ. მენაბდემ, გიორგი წითლიძემ, ანდრ. გომელაურმა და ნიკ. შიუკაშვილმა.

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოსთან დაარსებულს ფერშლის სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრეს და ფერშლის მოწმობა მიიღეს 11 ყმაწვილმა კაცმა. ამათგან ექვსი ბაქოში იქმნა გაგზავნილი.

*** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, თუ ვინიცობაა ტფილისში ხოლერა გაჩნდა, 18 კარავი დასდგას სხვა-და-სხვა ადგილებში ხოლერით ავადმყოფთათვის.

*** ხოლერიან ავადმყოფთათვის შენობები უკვე გაუკეთებიათ ტფილისში. შენობებს ბრეზენტით დახურავენ. ავადმყოფების თეთრეულს მტკვრის პირას გარეცხამენ და სადეზინფექციო წამლებით აპკურებენ. საავადმყოფოს უფროსებად დანიშნული არიან მკურნალნი: ისტამანოვი და ადამოვი.

*** 16 ივნისს ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ ტფილისის მეცხრე ნაწილი დაიარა სასანიტარო დასის თანადასწრებით და უსუფთაობისთვის დააჯარიმა მედუქნე ბერიევი 20 მანათით და ახბედ იაკუბ-ოღლი 5 მანათით.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის მაზრის უფროსს უთხოვნია ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისათვის, ნება მომეცი, უკეთუ ხოლერა გაჩნდეს ქალაქში, სამაზრო მმართველობა გადავიტანო ქალაქიდან მაზრაში, რადგანაც ყოველ დღე სამოცამდე კაცი ჩამოდის სოფლებიდან სხვა-და-სხვა საქმეებისათვის და ამათ ადვილად შეუძლიანთ ხოლერა გაავრცელონ სოფლებშიო. ხოლერის გავრცელება სოფლებში დიდი უბედურება იქნება, რადგან ჩვენი სოფელი ყოვლად უნუგეშოა და უპატრონო, არც საკმარისი ექიმებია სოფლისათვის და არც წამალი. უკეთუ ბ-ნი გუბერნატორი ნებას დართავს და შეიწყნარებს თხოვნას, მაშინ მაზრის უფროსი ამ ნაირად გაანაწილებს საქმის წარმოებას. ერთი წილი მმართველობის მოხელეთა დაბინავდება ან ს. მარტყოფში, ან ნორიოში და ზედამხედველად დაენიშნება ერთი მაზრის უფროსის თანაშემწეთაგანი, მეორე წილი დაბინავდება ს. პრიუტში მეორე თანაშემწის ზედამხედველობით. ამ გვარად სოფლის ხალხს არავითარი შეწუხება არ მიადგება იმითი, რომ მაზრის სამმართველო შუაგულ ალაგას აღარ იქნება, ტფილისში, მით უმეტეს რომ საზოგადო საქმის გამგეობა ისევ მაზრის უფროსის ხელში იქნება და ორივე განყოფილებას ის გაუწევს ხელმძღვანელობას.

*** კარგა ხანია ერთი მოზრდილი ბრბო ავაზაკებისა ნავარდობს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში და ხან და ხან ამიერ-კავკასიის სხვა გუბერნიებსაც არ ერიდება. ეს ბრბო უფრო რკინის გზის ლიანდაგს ეტანება და თავის მოქმედების სარბიელად გაუხდია უფრო გორის მაზრა. ამ ბრბოს საქმე იყო ამას წინად გაძარცვა ბ-ნ დიმ. მღებრიშვილისა და ებრაელებისა სადგურს „ქსანკას“ ახლო. ერთი წევრი ავაზაკთა კრებულისა შეპყრობილ იქმნა 13 ივნისს ცხინვალის პოლიციის ბოქაულ ბ-ნ ელ. გუგუშვილის მიერ. ეს ავაზაკია ვანო ყულუმბეგაშვილი, ტომით ოსი. მეორეც, გვარად ფარასტაშვილი ქებილ, ესეც ოსი, შეპყრობილ იქმნა ტფილისის რკინის გზის ვაგზალს ახლო იმავე გუგუშვილის მიერ 17 ივნისს. მხნე ბოქაულს გაეგო, რომ წინა-ღამეს ფარასტაშვილი ჩამომხტარიყო რკინის გზის კონდუქტორ ხანიკაშვილთან, რომელიც ნათესავია თურმე ცნობილ ხადო ხანიკაშვილისა, ფოსტის გამძარცველისა. ელ. გუგუშვილს წაეყვანა კაცები და განთიადისას შემორტყმოდა კონდუქტორის სახლს. ფარასტაშვილი გაბაწრეს და დააპატიმრეს. სწორედ ამ დროს ჯიბიდამ დიმ. მღებრიშვილის საათი დაჰვარდნოდა ავაზაკს. ავაზაკი წარუდგინეს მღებრიშვილს, მის მეუღლეს და იმ მეეტლეს, რომელმაც ესენი ჩამოიყვანა მუხრანიდამ ქსანს. იმათ მაშინვე იცნეს თავიანთი გამძარცველი.

*** ავლაბრის შეშვიდე სასანიტარო დასის თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა ა. გ—ს ძე მელიქ-ალავერდოვი.

*** ჩვენ მოგვივიდა ქ-ნ ეკ. ასათიანისაგან 3 მან. ახლად გამართულ „წერა-კითხვის სასოგადოების“ იაფ სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

*** ტფილისის კადეტის კორპუსის შეგირდები დარჩებიან ტფილისში მხოლოდ 15 ივლისამდე. 15 ივლისსკი დაითხოვენ ყველას, ვისაც ისეთი პატრონები ჰყავნან, რომელნიც იტვირთებენ მათ წაყვანას, ხოლო ობლებს, ვისაც ასეთი პატრონები არ აღმოუჩნდებათ, გაჰგზავნიან თ. ნ. ამილახვარის მამულში, სოფელს ჰალას, გორის მაზრაში.

*** ტფილისის ერთ-ერთს დროსგასატარებელს ბაღში აღმოჩნდა, ლუდი სასურველის სიწმინდისა არ იყიდებოდა. პოლიცმეისტერმა აუკრძალა ამ ბაღის პატრონს მუსიკის დაკვრა. ამის გამო იმ ბაღში აღარავინ აღარ დადის.

*** წყალში დარჩობისაგან გადამრჩენელი საზოგადოება აცხადებს, რომ 5-სა და 6-ს ივნისს გაიმართა -4 სადგური წყლის დარჩობისაგან გადარჩენისთვის: 1—მუშტაიდის ბაღის ზემოდ, 2—სამხედრო აფთიაქის საწყობთან, 3—მიხეილის ხიდთან და 4—ავლაბრის ხიდთან.

*** აღსტაფა: 17 ივნისს განჯიდამ მოსულს მატარებელში აღმოჩნდა ორი ავადმყოფი, ტომით რუსი. ვაგონი, რომელშიაც ეს ავადმყოფები აღმოჩნდნენ, მოხსნეს და აქვე დასტოვეს ავადმყოფებიანათ.

*** ბათუმი: აი სახელი და გვარი იმ ქართველებისა, რომელნიც ამას წინად წაიყვანა აქედამ ერთმა პარიჟის თეატრის აგენტმა ლონდონში ბარნუმის ცირკისათვის: ივანე მახარაძე, დიმიტრი მგალობლიშვილი, ვასო ქუონია, დათა ქუონია, ლევანტი ჯორბენაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, მოსე გიგინეიშვილი, ირაკლი ქუონია, ბესარიონ ცინცაძე და მელიტონ ცინცაძე. სულ ათი კაცი.

*** ქედმე: ჩვენი ქალაქიც დაფაცურდა ხოლერის მოლოდინის გამო. ქალაქმა დაიქირავა რვა კაცი, თითო თვეში 50 მან. და იმათ დაავალა, სისუფთავეს თქვენ ადევნეთ თვალ-ყურიო. თვითონ საბჭოს ხმოსნები-კი ამ ჟამად ძლიერ არიან გართულნი საარჩევანო გაწამაწიით. დასდასობანა გაჩაღებულია და ვნახოთ ეს არჩევანები როგორ დაბოლოვდება.

პოლიცია მხნედ და ერთგულად აკეთებს თავის საქმეს ქალაქის სისუფთავისა და სალიანობისათვის. ხილს თითქმის სულ არ აყიდვინებს არავის ბაზარში. ავადმყოფობა ჩვენში ჯერ, ღვთის მადლით, არავითარი არ არის.

*** სუხუმი: ჩვენ შევიტყეთ, რომ სამეგრელოდამ რამდენსამე სოფელს გადმოსახლება უნდა თავიანთის მღვდლით აფხაზეთში. ზოგს ამ სოფელთაგანს გზის მაჩვენებელიც არ ჰყავსო. კარგი იქნება შედგებოდეს ამხანაგობა, რომელიც გადმოსახლებულთ ხელს შეუწყობდეს, როგორც ნივთიერად, ისე რჩევით და გზის ჩვენებით. ჩვენ ვართ მხოლოდ უთავო და უპატრონონი, თორემ სხვას ყველას პატრონი ჰყავს. აი მაგალითებრ, რუსინები მოვიდნენ—რამდენიმე მოსახლე კაცი და იყიდეს წებელდაში მშვენიერი ადგილი 1590 დესიატ. 32,000 მანეთად.

*** დ. ძველი-სენაკი: ჩვენს პატარა დაბაში არავინ ზრუნავს სისუფთავესათვის. სისუფთავე საჭიროა აგრეთვე სოფლებისათვისაც, მაგრამ სად არი. კარგი იქმნება, რომ ხალხს დაწვრილებით აუხსნიდნენ, თუ რა განსაცდელი მოგველის და რამდენად საჭიროა გაფრთხილება. ჩვენიდამ ახალ-სენაკამდე გზა-გზა ზოგან ხიდები არ იყო და ეხლა შეუდგნენ მათს გაკეთებას. ხიდებს ქვით-კირისას აშენებენ. ხანგრძლივის გვალვებით შეწუხებულს ჭირნახულს ეხლა გვარიანი პირი უჩანს. თუ წვიმებმა ხელი შეუწყო, კარგი მოსავალი მოგვივა.

*** სიღნაღი: ხოლერის გაჩენის შიშმა ძალიან დააფაცურა ჩვენი ხალხიც. ამ თვის თერთმეტს მაზრის უფროსმა მოიწვია სიღნაღის დეპუტატები, მკურნალნი და სასანიტარო წევრნი, რომელთაც მოელაპარაკა შესახებ იმ ღონისძიებათა, რომელნიც საჭიროა მიიღოს ქალაქმა ხოლერასთან საბრძოლველად, თუ ეს დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვია ჩვენს ქალაქს. ამ კრებაზედ ქალაქის ამორჩეულმა დეპუტატებმა დაადგინეს, რომ გადასდონ ოც-და-ათი თუმანი. აქედამ თხუთმეტი თუმანი მოხმარდება სადეზინფენქციო წამლებს, რომლებიც ქალაქ ტფილისიდგან უნდა მოიტანონ და დაურიგონ აქაურ მცხოვრებთ, ხოლო დანარჩენის თუთხმეტის თუმნით სამი საქალაქო ფეხის ადგილი უნდა გაკეთდეს, რადგანაც სიღნაღის ვაჭრებს, რომელთაც ქალაქის შუა გული უჭირავთ, თითქმის არც ერთი ფეხის - ადგილი არ მოეპოვებათ და ბაზარიც სავსეა უწმინდურებით. რომ შეუძლებელს ხალხს რაიმე შეღავათი მიეცეს, თუ ვინიცობაა ხოლერა გაჩნდა ჩვენში, მაზრის უფროსის თხოვნით, სიღნაღის ავთიაქარმა ლუკა მოსულიშვილმა აღუთქვა დაუთმოს სიღნაღის შეუძლებელ მცხოვრებთ წამალი ღირებულზედ 40% ნაკლებ, ხოლო შეუძლებლობა იმისი, რომელიც ექიმის რეცეპტს მიიტანს აფთიაქში, უნდა იყოს შემოწმებული პოლიციისაგან. გარდახდას ამ ფულისას ქალაქი კისრულობს შემდეგ ხოლერის მოსპობისა. ეს გარემოებაც გარდაწყვეტილების იქმში იქმნა მოხსენებული. ამ გვარსავე შეღავათს, იმედია, ბ-ნი მოსულიშვილი არ დაიშურებს მაზრაში მცხოვრებ გლეხთათვისაც, უკეთუ იმათაც ეწვიათ ხოლერის გაჩენით უბედურება. ამ თვის 12-ს მაზრის უფროსმა სასანიტარო დასში მყოფ კაცებით ერთად დაათვალიერა სიღნაღის ბაზარი და მათი ეზოები და მოახდინა განკარგულება, რომ ყველა სახლის და დუქნის პატრონებმა და ვაჭრებმა სისუფთავე იქონიონ და გაწმინდონ აგრეთვე ფეხის ადგილებიც. სიღნაღი სამ ნაწილად გაიყო და პოლიციელები და სანიტარები დადიან ყველას სახლებში და აფრთხილებენ ხალხს, რომ სისუფთავე იქონიონ, მაგრამ ახალი ბოქაული ჯერ არ მოსულიათ. აგერ ორი კვირაც არის, რაც, ბ-ნ გუბერნატორის განკარგულებით, ბოქაულად გადმოყვანილია ახალქალაქის მაზრაში მოსამსახურე ბოქაული ბ-ნი მალინოვსკი, რომელიც წინად 1888 წლამდე სიღნაღში მსახურობდა დიდი ხანი და აქაურობა კარგად აქვს გაცნობილი.

სიღნაღელები მაინც იმედს არა ჰკარგავენ რომ ხოლერა, თუნდა კიდეც გადმოვიდეს ჩვენში, დიდხანს ვერ იბოგინებს, რადგანაც აქ უფრო წმინდა ჰაერიაო და, სხვათა შორის, ამბობენ, რომ 1847 წელშიაც, როცა დიდი ხოლერა ყოფილა და ხალხიც ბევრი დაზარალებულა სხვა კუთხეებში, აქ სულ ორი სამი სული იმსხვერპლაო.

*** გაზეთი „არძაგანკი“ იუწყება, რომ სომეხთა დრამატიულ საზოგადოების მიერ დაარსებული სარედაქციო კომისია უკვე შეუდგა უცხო ენაზედ დაწერილ საუკეთესო პიესების თარგმნას სომხურს ენაზედ. კომისიას განზრახვა აქვს მომავალ სეზონისთვის 30—40 პიესა გადმოათარგმნინოს სომხურს ენაზედ.

*** გაზეთ „Кавказъ“-ს სწერენ განჯიდგან: „აქ საშინლად დაცხა. ხალხი ქალაქიდგან გაიკრიფა: ზოგი აჯიკენთს მიდის, ზოგი მიხაილოვკას, ზურნაბათს, მურუთს, აზათს, აბლახს, ჩაიკენდს. ზოგი კიდევ მთაში მიდის, და იქა სდგამს კარავსა, ოღონდ ქალაქის სიცხესა და საშინელს სტუმარს — ხოლერას მოვშორდეთო. განჯის პოლიცია ქალაქს სწმენდავს, მაგრამ რა უნდა გააწყოს პოლიციამ იმ ქალაქში, რომელშიაც სამასის წლის განმავლობაში, შახ-აბაზის მიერ დაარსებიდგან, ქალაქის მცხოვრებნი აგროვებდნენ ყოველ გვარ უსუფთაობას და არც ერთხელ არ გაუწმენდიათ ქალაქი.

*** გაზეთი „Гражд.“ იუწყება, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ხოლერის გამო ყოველივე მიმოსვლა აკრძალოს რუსეთსა და სპარსეთს შუა.

*** აზეთი „Т. Л.“ იუწყება: 5 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზედ თელავის მაზრის სოფ. კუჩატან ხაჩმიანს, ახალ-გავაზში ვენახები და მინდვრები დასეტყვა. ზარალი 35,000 მანათამდეაო.

*** სამრის: (სამურზაყანო) გაზეთ „Нов. Обоз.“-ს სწერენ: ამას წინად აქ შემდეგი ამბავი მოხდა. ერთ გლეხის ჩიტა ხასაიას ცოლს ქმრის ნათესავი ბახვა ხასაია გადაეკიდა და არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ აძლევდა. ბახვა ხასაია მთელი სოფლის ხალხმა შეიძულა და უნდა გადაესახლებინა, მაგრამ ბახვა ხასაიამ დაასწრო სოფლის განაჩენს. ერთს ღამეს ჩიტა ხასაიას სახლთან გაიარა და ცოლ-ქმარს ლანძღვა დაუწყო. ჩიტა ხასაიმ ეს ვერ მოითმინა და გარედ გამოვარდა, შეშინებული ცოლი უკან გამოუდგ ქმარს, მაგრა შემოხვია მკლავები და არ უშვებდა ბახვასკენ. ბახვა ხასაიამ ამ შემთხვევით ისარგებლა, ღობიდგან მარგილი ამოაძრო, დაჰკრა თავში ჩიტა ხასაიას და იქვე სული გაანთხევინა. შემდეგ ბახვა ხასაია ყაჩაღად გავარდა და მთელს სოფელს ემუქრება, გადაგწვავთო.“

*** გაზეთ „Каспій“-ში ვკითხულობთ: კვირას, 14 ივნისს, სალამოთი საგუბერნიო მმართველობის დარბაზში ბაქოს მკურნალთ კრება ჰქონდათ, რომელზედაც მკურნალებმა გადასწყვიტეს, რომ ბაქოში ამ ჟამად აზიის ხოლერა არისო (cholera asiatica), და არა ადგილობრივი (cholera nostra), როგორც უწინ აღიარეს მკურნალებმა.

*** იგივე გაზეთი სწერს: ჟანდარმების შტაბს-კაპიტანი პატარაკი და მკურნალი პავლოსკი ძლიერ გულმოდგინედ ასუფთავებენ რკინის გზის ბაქოს სადგურს. ყოველ დღე სადგურს სადეზინფექციო წამლებით აპკურებენ და ბაქოდგან მიმავალ ხალხსა სინჯავენ.

*** ბ-ნი ტფილისის პოლიცმეისტერი სწერს თავის ბრძანებაში პოლიციის ბოქაულთ, რომ სასანიტარო ზედამხედველად მე, ჩემის მხრით, ვნიშნავ გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომელს, გიორგი მიხეილის ძეს პავლოვს, რომელიც პარასკევიდგან დაიწყებს ჩვენის ქალაქის სხვა-და-სხვა ალაგების დათვალიერებასაო.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**კახეთი.** (თელავის ზემო მხარე), 27 მაისი. დრო და ჟამი მობრუნდაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის! ამისთანა გაზაფხულს ათასში ერთი თუ შესწრობია, თორემ ბევრი არა. ჯერ ზამთრისა არაფერი გაიგებოდა-რა, თუმცა ამ გაზაფხულივით უნდო და ორპირიც არ იყო. გაზაფხული ხომ სრულებით არა გაზაფხულობს. თებერვალსა და მარტს ვინ დაემდურება, თუ რომ მაისი, ეს ვარდობის თთვე, მაისობდეს და არა თებერვალმარტობდეს. არ ვიცით, სათვალავი აგვერია, თუ რა ამბავია ჩვენს თავს! მართლაც, ისეთი რაღაცნაირი ამინდებია, რომ გაკვირვებულები ვართ: წამოვა ჰექა-ქუხილით წვიმა, დაასველებს დედამიწას, ვიტყვით, ღმერთმა გვიშველაო! მოვიხედავთ, ამოვარდება ქარი და მთლად ფიტივით გაჰხდის, გამოაშრობს ახლად დანამულს დედამიწას. ქარიც ქარსა ჰქვიან! ისეთი ცივი და სუსხიანი ქარი უბერავს, რომ ლამის ფოთოლი შეახმოს ხეებს. აბა, ახლად ანორჩილს და რქა-გამოღებულ ვაზს რაღა კეთილს დააყრის, ეს თქვენ მიბრძანეთ-ეს კიდევ-რა. ამ თვის თხუთმეტში ხელახლად არ ჩამოთოვლა მთები!.. ამისთანა არა ჩვეულებრივმა ამინდებმა გაზაფხულზედ, სხვა არა იყოსრა, მარტო წვანილს დაგვანატრულა: დიდმარხვაში დათესილი ბოსტნეულობა ეხლა-ღა ამოდის კანტიკუნტად, მომეტებული ნაწილი მო! სცდა კიდეც. ამას გარდა, პირველ გაზაფხულზედ, ხეხილის ყვავილობის დროს, ისეთი სიცივეები იყო, რომ, არა მგონია, ატამი და სხვა ადრეული ხილი კახელმა დაჰძლიოს წელს. მინდვრის ნამუშავებს კიდევ კარგი ფერი და პირი უჩანს. ვენახებს-კი ჯერ თხლად ასხია, მერე სატკივარი და ავადმყოფობა თავიდგან ამჩნევია. ჩვენდა სასიხარულოდ, ვაზის წამლობა-კი აპირობს გახშირებას კახეთში—ყველა წუხილსა და ცდაშია, მოუაროს და უწამლოს თავის ვენახს...

სხვაგან რა მოგახსენოთ, ხოლო კახეთში ასეა, რომ, რაკი აღდგომა მოვა, მოჰყვება ჯერ-ჯერით დღეობა-დღეობას. თითქმის ყველა სოფელში რომელისამე ახალის ან ძველის ეკკლესიის სახელობაზე იმართება დღეობა. ამ გვარ დღეობებში იყრის თავს მომეტებული ნაწილი ახლო-მახლო მცხოვრებთა, ლხინობს, თამაშობს, ჰიდაობს სადილობამდე, მერე-კი გაიძახის სუფრულს ან დღეობაშივე ან არა და იმ სოფლის მკვიდრთა სახლებში, რომელ სოფლებშიაც ეს დღეობაა გამართული. ჩვეულებად აქვთ, რომ, ვსთქვათ, რომელისამე სოფლის ეკკლესიის დღეობაა ახლოხანებში: ამ სოფლის მეკომური, მდიდარია თუ ღარიბი—ყველა თავის ჟამზედ ემზადება, თავდარიგს იჭერს, იცის, რომ დღეობაში მოვლენ იმისი ნათესავნი და ნაცნობნი მეგობარნი, რომელთაც უნდა გაუმასპინძლდეს, როგორც-კი ძალი შესწევს. ამ დღისათვის თითქმის ყველას ცალკე ქოცოში აქვს შემოდგომითვე დაყენებული ღვინო, რომელსაც იმ დღოების ზედაშეს ეძახის. ამ ზედაშეს ამ დღეს უნდა აჰხადოს თავის წვეულთათვის. ეს სულ სესხი და ვალია: ახლა ეს მასპინძელი წავა სტუმრად ეკკლესიის დღეობაში...

დღეობებსაც თავთავიანთი სახელი აქვთ გავარდნილი: ზოგი უფრო განთქმულია, ზოგი-კი არა, და ამის მიხედვით ითქმის ხალხის რაოდენობაც დღეობაში... წარსულ ორშაბათს, ოც-და-ხუთს მაისს გაიმართა დღეობა უსანეთობა სოფელ კოლოთოში, ალავერდის მახლობლად. ამბობდნენ: დიდძალი ხალხი იცის ამ დღეობამაო და მართალიც ყოფილა. სწორედ დუნია ხალხი იყო, ალავერდობას მოგაგონებდათ. სხვა ხალხს გარდა, ძალიან მრავლად იყო თუში და ქისტი... ამოდენა ხალხის თავის მოყრის მიზეზი, ჩემის ფიქრით, ისა ყოფილა, რომ უსანეთობას ბაზრული ხასიათი ჰქონია. თქვენა ჰნახავდით გამართულს მრავალგვარ ვაჭრობას. წვრილმან ჩარჩით და ჩოდრით იყო სავსე აქაობა. იყიდებოდა მრავალი ცხენი, ძროხა, კამეჩი, ცხვარი და სხვ. სხვა მრავალნაირ სავაჭროს გარდა, ასე გასინჯეთ, წყალიც-კი მოეტანათ თელავიდამ გასასყიდად და ჩარექას კაპეიკად ჰყიდდენ (უდაბნოა), მაგრამ, ვგონებ, ბევრი-კი ვერაფერი გაასადეს წყლით მოვაჭრეთ, რადგანაც ხელადა „კახური“ ორი შაური ან სამი შაური ღირდა... ქისტები ნაბდის ქუდებით ვაჭრობდნენ, თუშები-კი ყველით, მატყლით და ერბოთი... ამასაც ასახელებდნენ, რომ ამ დღეობაში ჩხუბები და აყალ-მაყალიც ბევრი იცის ხოლმეო, მაგრამ წელს-კი არაფერი მომხდარა ამისთანა. ეს სიმშვიდე უფრო ბრალია შემდეგის გარემოებისა: დღეობაში, სხვა სასულიერო კაცთ გარდა, ბრძანდებოდა ბლაღ. მღ. ხელაშვილი, რომელმაც წინადვე მამაშვილური დარიგება მისცა თუშთა და ქისტთ უფროს კაცებს, რომელთაც თავის მხრით უნდა ერჩიათ თავიაანთ ახალგაზრდობისთვის, რომ ჩხუბი არავისთან აეტეხნათ. ამასთანავე დღეობას დაესწრო ბოქაული ბ-ნი იორამოვი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებდა და წესიერებას იცავდა...

ყველაზე უფრო სასიამოვნო ამ დღეობაში ის იყო, რომ გალობდნენ ბავშვები. მერე ვინ იყვნენ ეს ბავშვები? ქისტის შვილები, შეგირდები იმ სკოლისა, რომელიც „ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ გამართა პანკისში ამ შემოდგომაზედ. წინა დღითვე გავრცელდა ხმა, რომ ამა-და-ამ დღეობის ეკკლესიაში უნდა იგალობონ აწყვერის და პანკისის სკოლების შეგირდებმაო. აწყვერიდამ-კი არა და, პანკისიდამ-კი წამოეყვანათ ექვსი თუ შვიდი მოწაფე, რომელთაც, რაც შეეფერება იმათ ახალმოსწავლეობას, საქებურად იგალობეს პანკისისავე დიაჩოქის ხელმძღვანელობით და ძალიანაც ასიამოვნეს იქ მყოფი ხალხი, რომელიც-კი მართლა წირვა-ლოცვის მოსასმენად მოსულიყო ამ დღეობაში... მომავალ კვირას დღეობა კვათობას მოველით, თელავის მახლობლად. ამ დღეობასაც ძალიან აქებენ, ვნახოთ, რა იქნება.

გადამიელი

---

**სამიქაო** (ქუთაისის მაზრა.) საზოგადოდ ჩვენი მოხელენი დიდ დაუდევრობას იჩენენ სოფელ-კუთხის კეთილ დღეობის ზრუნვაში სწავლა-განათლების მხრით; და ეს მათი დაუდევრობა ყოველ ფეხის გადადგმაზედ არის თვალ-საჩინო და დიდად საგრძნობელი. წარმოიდგინეთ, ხშირად საზოგადოება იძულებულია, რომ ცოტად შეძველებულ კანცელარიის მაგიერ ახალი სახლი აავოს, რამდენსამე ათას მანათად ღირებული, რომ გამვლელ-გამომვლელის ძრახვა არ დაიმსახუროს; და იმისი შთამგონებელიკი არავინა ჰყავს საზოგადოებას, რომ ნახევრად დანგრეული სკოლა, ეს ახალის დროის წმინდა მეცნიერების ტაძარი, ცოტაოდნად მაინც მოაკეთ-მოაფოჩიხოს და ბავშვებს სკოლაში სიარული არ შეუწყვიტოს; პირ-იქით, გამოერევა თავ-შეყრილ საზოგადოებაში ვინმე, სინიდისზედ

ხელ-ალე ბ[illegible], რომელიც დროთა უკუღმა[illegible]ბის გამო გამხდარა საზოგადოე[illegible]პატიო წევრად და სრულ მბრძანე[illegible]ად, და უტივრად შესძახებს ქ[illegible] ქრისტეს ფეხის მტეხელი:

„სკოლა რად გინდათ?
სწავლა რად გინდათ?
მასწავლებელი მეტი ბარგიაო!..“

სხვებიც, მისი მსმენელ-გადუვალნი სულითა და გულით ეთანხმებიან და ისე მოქმედებენ, როგორც იმ ღვთისა და კაცის პირისგან შეჩვენებულს სწადიან!.. ან-კი რა გასამტყუნებელია ამისთანა არაკაცი?!.. ტყე რომ გაიკაფოს, ნადირთ რად უნდათ იბარტყონ, და ნადირები თუ გადაშენდნენ, მწევარ-მეძებართ რაღა მოსაცდელი პირი ექნებათ ჩვენში?!..

მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ისევ სამიქაოზედ ვილაპარაკოთ: შარშან მარიამობისთვეში სამიქაოს საზოგადოებაში მოვიდა ხონის ბოქაული ბ-ნი ტატიშვილი, რომელმაც ბევრ სხვა-და-სხვა ნაკლულევანებასთან, სასოფლო დირექტორის მოწერილობითა და რამდენთამე კერძო კაცთა შთაგონებით სკოლის უქონლობასაც მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. საზოგადოებამაც გულწრფელად აღიარა სკოლის დაარსების სურვილი; ბ-ნ ბოქაულს დიდი მადლობა მოახსენა კეთილის რჩევისთვის და „პრიგოვორიც“ დაადგინა, რომ „მოკლეს ხანში დაარსდეს ორი სამინისტრო სკოლა, რადგან ერთი იმოდენა საზოგადოებისათვის, როგორიც არის სამიქაოს საზოგადოება, არ იქმნება საკმარისიო!“... მას აქეთ, მოკლემ კი-არა, გრძელზედ უგრძესმა ხანმაც განვლო, და საქმე კი სისრულეში არ მოდის! ამის მიზეზი ის არის, რომ საქმის განხორციელებას ყოველ შემთხვევაში მოთავე უნდა, ხოლო მოთავეს—თავი.. ჩვენში თავიანი არავინ არი, რადგან, საუბედუროდ, თუ ვინმე თავიანი აღმოჩნდება, თავს მაშინვე წააცლიან და სხვებთან ერთ დონეზედ დააყენებენ; ამ ნაირად, მთელი საზოგადოება ერთად უთავო ტანს, ანუ ლალა გადასმულ ჰურჰელს წარმოადგენს... იმისთანა კაცები სწევენ ჯალათობასა და ფიქრობენ ამით საზოგადო საკეთილდღეო საქმის ჩაფუშვას, რომელნიც ვალდებულნი არიან თავი დასდონ და სანთელივით შესწირონ თავიანთი თავი სოფლის კეთილდღეობას...

საზოგადოება, რადგან ერთხელვე უკისრნია თავის წევრთა შორის მეცნიერების ტაძრის აგება და თავის შთამამავლის კეთილად აღზრდა, არც არა ოდეს არ გადასთქვამს თავის პატიოსანსა და გონიერად მოსაზრებულ პირობას, და უეჭველად კარგს სკოლებსაც დაიარსებს მოკლეს ხანში; საწყენი მხოლოდ ის არის, რომ საზოგადოებამ თავის ღონისძიებით კაცი გაზარდოს, ცხოვრებაში ადამიანად გამოიყვანოს, მისგან რასმე კეთილს მოელოდეს, და ის კი კეთილის მაგიერ გველს უწვავდეს თავის სოფელ კუთხეს, და საზოგადოების კეთილ-დღეობას თავის პირად ანგარიშებისათვის მიწაში მარხავდეს. განა ამაზედ მეტი იუდა ისკარიოტლობა იქმნება?.. საკვირიელებაა, საკვირველებაა?...

დასასრულ, ვსთხოვთ ბოქაულს, ბ-ნს ტატიშვილს, რომ ამ საქმის განსახორციელებლად ცოტაოდენი ყურადღება მოგვაქციოს, თითონაც სახელი მოიპოვოს, ჩვენც სარგებლობა მოგვიტანოს და თვისი უპირველესი მოვალეობა შეასრულოს... საქმის განხორციელება სრულიადაც არ არის საძნელო, რადგან ზოგიერთა უგუნურ-არამკითხე მოტიტინეთა გარდა, ყველას შეგნებული აქვს ის კეთილი საქმე, რომ საზოგადოებაში სკოლის დაარსება არის ძვირფასი და აუწონელი განძი და სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილება...

გი—გი ბ—ერია.

---

## სამტრედიის წიგნთ-საცავი

მკითხველებს უეჭველად ეხსომება, რომ ამას წინად „ივერიაში“ იყო მოხსენებული: ამა-და-ამ გელეიშვილმა დაბა სამტრედიაში ქართულ-რუსულ წიგნების ბიბლიოთეკა და მაღაზია დააარსაო. დარწმუნებული ვარ, ასეთი ახალი ამბავი ესიამოვნებოდა ყველა იმას, ვისაც ცოტაც არის შესტკივა გული მოძმის ბედ-იღბლისათვის. თუმცა ამ ბიბლიოთეკისა და წიგნის მაღაზიის დაარსებიდამ თითქმის ორი თვე გადის, მაგრამ მე, ჩემის მხრით, მაინც ვერა ვბედავდი მეცნობებინა მკითხველებისათვის, რადგანაც აწმყო სანუგეშო არ იყო და მომავალი-კი ბნელით დაფარულს გვანდა. მხოლოდ ახლა, როდესაც ეს ბიბლიოთეკა და წიგნის მაღაზია ასე თუ ისე, უფრო მკვიდრ ნიადაგზედ სდგას, საჭიროდ ვხედავ განუზიარო მკითხველებს ეს ამბავი. სამტრედია რომ ერთი იმისთანა ადგილია, რომელიც დღითი დღე იზრდება და აქ ბიბლიოთეკა და წიგნის მაღაზია მიუცილებელად საჭირო იყო და არის, ეს ყველამ იცის და ამ საგანზე ლაპარაკით მკითხველებს თავს არ მოვაბეზრებ; ვიტყვი მხოლოდ, თუ რამ დაჰბადა ეს სურვილი სამტრედიაში ბიბლიოთეკის დაარსებისა, რა თანხით დააარსეს და რა ნიადაგზე სდგას დღეს.

სამტრედიაში მცხოვრებლების რიცხვი, თუ ზედ დაუმატებთ აგრეთვე რკინის გზაზედ მოსამსახურეებს, საკმაოა. აქ, როგორც მკითხველებმა იციან, არ მოიპოვებოდა არც ერთი წიგნაკი, არა თუ წასაკითხავად, არამედ წონა ფასიც მიგეცათ, ერთ წიგნსაც ვერ იშოვიდით. როცა სამტრედიაში დავრჩებოდი ხოლმე, არა ერთს ახალგაზდა კაცს უთქვამს ჩემთვის: „სირცხვილი არ არის, ბიბლიოთეკა არ იყოს ისეთ დიდ სადგურზე, როგორიც არის სამტრედია? ჩვენ, მოსამსახურე ხალხი, მონდომებული ვართ, წიგნები ვიკითხოთ, მაგრამ, რაკი ვერა ვშოულობთ, მეტი ჯანი არ არის, მოცლილი დრო, ბანქოსა და ღვინოს უნდა დავუთმოთო. ჩვენ დრო და სამსახური ნებას არ გვაძლევს ამაზედ ვიზრუნოთ და, თუ შენ რამეს ეცდები, ჩვენ ყველანი სრული თანამგრძნობელი ვიქნებითო“.

რადგან ეს სამართლიანი საყვედური არა ერთხელ და არა ერთის ახალგაზდა კაცისაგან მესმოდა, მეც, შეძლების დაგვარად, მოვკიდე საქმეს ხელი. მთელი ხუთი თთვე გავიდა, ვიდრე გუბერნატორისაგან ნებართვას ავიღებდი; ბოლოს, ველირსე და ნებართვაც ავიღე, მაგრამ მარტო ნებართვით შორს ვერ წახვალ! ნებართვასთან საჭირო იყო ფული, რომელიც მე არა მქონდა და ურომლისოდაც საქმე არ შეიძლებოდა. აბა როგორ უნდა მომეგვარებინა, ისე რომ საქმისათვის თავი მომება? ნება-რთვა რომ არა მქონოდა, კიდევ არაფერი, მაგრამ ნება-რთვის აღების შემდეგ, საქმის ვერ გაკეთება-კი სირცხვილათ მიმაჩნდა. ამისათვის მე მივმართე ზოგიერთ გავლენიან კაცებს, რომლებიც შემპირდნენ შემწეობის აღმოჩენას...

ჩვენ გადავსწყვიტეთ ხელის მოწერით მოგვეგროვებინა ფული და ისე დაგვეარსებინა სამტრედიაში უფასო ბიბლიოთეკა; მაგრამ როგორც დავრწმუნდით, ესეც შეუძლებელი შეიქნა. მაინც უნდა შევნიშნო, რომ ჯერ არ იყო ჩვენში ნიადაგი მომზადებული იმ გვარის საქმისათვის, როგორიც არის ბიბლიოთეკა. ჯერ აქაურ მცხოვრებლების 98% მაინც არ იყო კითხვას დაჩვეული და თუ წიგნების კითხვაზედ გადასახადი გაგვეჩინა, ეს სულ ერთი იყო, რომ სულაც არ დაგვეარსებინა ბიბლიოთეკა. აბა რა უნდა მექნა? გადიოდა დრო და ეს თბილი და ტკბილი სიტყვები სიტყვებადვე რჩებოდა და საქმე-კი ჰიანურდებოდა. ბოლოს, როცა დავრწმუნდი, რომ ხელის მოწერით ფულის მოგროვება ნაყოფს ვერ მოგვცემდა, ვიფიქრე ბიბლიოთეკასთან ერთად დამეარსებინა წიგნის მაღაზიაც, რომ ბიბლიოთეკას შესძლებოდა არსებობა გასყიდულ წიგნების და სამოსწავლო ნივთების მოგებით. აი, სწორედ ამ აზრით ვითხოვე ნება-რთვა წიგნის მაღაზიის მმართველობისაც. წაველი ტფილისს და ვიყიდე თითქმის ყველა ქართულ-რუსული წიგნები, როგორც ბიბლიოთეკისთვის, ისე წიგნის მაღაზიისათვისაც, მაგრამ რა გამოვიდა? აქაც ჩვენი უიმისოდაც უფერულ ცხოვრების გამათახსირებელმა „კონკურენციამ“ იჩინა თავი. იმ ვაჭაბატონებმა, რომლებიც უწინ მაქეზებდნენ ამ საქმეზედ, გაიგეს თუ არა, სახლი დაიქირავა და წავიდა წიგნების სასყიდლადაო, დაიქირავეს ერთი კუნჭული პარიკმახერის დუქნისა და დაიწყეს შიგ სამოსწავლო ნივთების ყიდვა. მართალია, ჩემი სურვილიც ეს იყო, რომ ჩვენში კარგის შინაარსის წიგნები გავრცელებულიყო და, თუ ყველა ჩვენი ვაჭარი დამპალ თევზისა და წყლიან ღვინის მაგიერ წიგნების ყიდვას დაიწყებდა, ჩემი იდეალი თოფის მანძილზედ მაინც მიახლოვებული იქნებოდა, მაგრამ, ახლა-კი ვერაფერი სასიამოვნო იყო, რადგანაც ამ ვაჭაბატონებმა კარგად იცოდნენ, რომ მარტო ეს წიგნის მაღაზია შეადგენდა ამ ახალ დაარსებულთ ბიბლიოთეკის ერთად-ერთს საძირკველს. ჩემის აზრით, ისეთ ადგილას, როგორიც არის სამტრედია, წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ხელი-ხელს ჩაკიდებული უნდა მიდიოდეს რომ პირველმა მეორეს საძირკველად არგოს და მეორემ-კი პირველს „ტაატა“ ასწავლოს. თუ გინდათ ასეც არ იყოს, განა ყველა გლეხს შეუძლია ფასით შეიძინოს ისეთი ძვირი წიგნები, როგორიც არის ყაზბეგის და ილ. ჭავჭავაძის თხზულება? მე არა ერთისგან გამიგონია ჩვენში: „მანეთი ღირდეს—ვიყიდდი, მაგრამ ექვსი აბაზი ღირს და როცა მანეთი ვიშოვნე აბაზი ველარ მოვახერხეო!! ის გლეხი, რომელსაც არ შეუძლია ფასით შეიძინოს წიგნები, ბიბლიოთეკაში წაიკითხავს და, თუ ათში ერთიც არის ფასითაც შეიძლებს ყიდვას, ამის მოგება-კი საშუალებას მისცემს ბიბლიოთეკას უფასოდ დაუთმოს მკითხველებს წიგნები.

აქ საჭიროდ მიმაჩნია მკითხველებს ავუწერო მქრალი სურათი მაინც ამ პატარა ბიბლიოთეკისა. მკითხველების რიცხვი დღითი-დღე მატულობს, მკითხველები თითქმის სულ სოფლელები არიან. საუბედუროდ, ქალაქის მცხოვრებლები-კი ვერაფერს იმედს იძლევიან, რადგან აქაურ მცხოვრებლების და მოსამსახურე ახალგაზდობის 2% თუ კითხულობს წიგნებს, ისიც დიდია.

სასიამოვნოა, რომ ჩვენი თავადაზნაურობა ძლიერ გულ-მხურვალედ და გატაცებით ეტანება წიგნების კითხვას. მაგრამ მათ არც გლეხები ჩამორჩებიან უკან. სასიამოვნო სურათს წარმოადგენს, როცა რომელიმე გლეხი სიამოვნებით გელაპარაკება, რომელისამე წაკითხულ წიგნის შინაარსის შესახებ. ძლიერ გატაცებული კითხულობენ თითქმის ყველა ახალ წიგნებს და ნამეტურ ილ. ჭავჭავაძის, ყაზბეგის, აკაკი წერეთლის და ანტონ ფურცელაძის თხზულებებს. ყველა ახალგაზდა მკითხველების გული თითქო რაღაცა მანქანებით მიუჯადოვებია ყაზბეგის გმირებს; ყველა ზიზღით იხსენიებს ისეთ გმირებს ყაზბეგისას, როგორიც არიან: გაგი, გირგოლა და სხვანი... „მაცი ხვიტია“ ხომ ყველას ენაზედ აკერია, რადგანაც ჩვენში აღმოჩნდნენ ისეთები, რომელნიც კარგად იცნობდნენ ამ გმირს.

უნდა გამოვტყდე, რომ ბეის შემოუტანელად წიგნების ძლევა მკითხველებისათვის ძლიერ მეძნელებოდა, რადგან წიგნების დაბრუნების იმედი არა მქონდა, მაგრამ ეს ფიქრი სულ ამაო გამოდგა; ჩემმა ახალგაზდა მკითხველებმა ბეის მოცემა კიდეც ითაკილეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით-კი თავ-თავის დროზედ მოაქვთ გამოსაცვლელად წიგნები და მშვენივრადაც ინახვენ. მკითხველების უმეტესს ნაწილს უფასოდ მიაქვს წიგნები, მხოლოდ ოცი, ოც-და-ათი ოდე შეძლებული მკითხველი (თავად-აზნაურები) კი იძლევა ძლიერ ზომიერს ფასს წიგნების კითხვისას. წიგნების მაღაზიაში-კი უფრო იყიდება იაფი წიგნები: მაგალითად: „მამიდა ასმათი“, „საუკეთესო ცოდნა“, „ხატის მიზეზი“, „იავ-ნანამ რა ქნა?“ და სხვები. ძვირფასს წიგნებს ჯერ ვერ ეწყობიან. შემიძლია დასასტურებით გავბედო თქმა, რომ ბიბლიოთეკა აქ არ დარჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა და გვარიან ნაყოფსაც მოიტანს.

პეტრე გელეიშვილი

---

## კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა *)

(488—1811 წ.)

მიქელ 918—945 წ. მოხსენებულია გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების ბოლოს წარწერაში. ბაქრ. ისტ. 233 გვ.

არსენი 946—972 წ. წინად საფარელი-მტბევარი. ამან აღწერა-მოთხრობა განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი ერთობისაგან, რომლის აღწერის მიზეზი მისცა სომეხთა გარემოებამ კვლავ შეერთებისთვის (965—970 წ.) ქართველთა თანა; ამას გარდა აღწერა ცხოვრება იოანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთა; კანონი-საგალობელი წმ. ნინასი. საქ. სამ. 301 გვ. ამა არსენმა დაახავა 958 წ. დიმიტრი მეფე და ძმა მისი თეოდოსე კვირიკე ქორიკოზის გამო. იმერეთ. ცხ. 181 გვ.

ბასილი 973—983 წ. თანამოღვაწე დავით ხახულელისა დიდებულს ხახულის ლავრაში. ამან აღაშენა ტფილისში ანდრია პირველწოდებულის, ეხლა იოანე ღვთის მეტყველის საყდარი ვერაზედ. Древ. гор. тиф. 34 გვ.

ოქროპირი 984—995 წ.

ილარიონ 996—1002 წ. ამის ბრძანებით სთარგმნა წმ. ეფთვიმე ათონელმა მათეს სახარების განმარტება ბერძულიდამ. იხ. ანდერძი ეფთვიმესი путев. зап. по кахет. 137 გვ. უკანასკნელ ნებსით განეშორა საყდარსა საკათოლიკოზოსა.

სვიმონ 1002—1012 წ. ამის კათოლიკოზობის ჟამს აღშენდნენ ქუთაისის მშვენიერი, ოდესმე დიდებული „ბაგრატის ტაძარი და ბედიისა საეპისკოპოსო, სამურზაყანოში. ვგონებ ამა სვიმონმა აღწერა „იაკობის ჟამის წირვა (ლიტურღია)“ და მასთანვე განჰკარგა წესი ეპისკოპოსთა და სხ. სამღვდელო პირთა კურთხევისა. იხ. ბაქრ. ისტ. 221—222 გვ. ესე სვიმონ იყო ბიძა (მამით) ნიკოლოოზ 1 კათოლიკოზისა. საქ. სამოთ. 109 გვ. კათალიკოზი სვიმონ მიიცვალა 1012 წ.

---

# უცხოეთი

**გერმანია.** ამ დღეებში გერმანიამ უნდა შემოიღოს ერთი საყურადღებო და თანასაგრძნობი ცვლილება, რომელიც საკანონმდებლო წესით, უკვე შეწყნარებულ იქმნა. პირველ ივლისიდგან (ახალის სტილისა) დაიწყებს მოქმედებას დაკანონებანი კვირა-უქმეობით ვაჭრობის აღკრძალვისა და მოვაჭრეთა დასვენების შესახებ. გერმანიის მრავალს ქალაქში ადრევაც იყო და მოქმედებდა ამ გვარი დაკანონებანი, მაგრამ იგი დაკანონებანი უფრო გარეგნობას აქცევდა ყურადღებას და ნოქრებსა და მუშების გაჭირვებასა ბევრს წამალს არა სდებდა. ახალს კანონს მხედველობაში აქვს მიღებული უფრორე დასვენება ნოქრებისა და მუშებისა, მათის გაჭირვების ჭეშმარიტი შემსუბუქება და არა მარტო გარეგნობა. ყოველს გვარს ქარხანასა და სახელოსნოში კვირაობითა და დიდს უქმეებში მუშაობა სრულიად არ იქნება ამ წლის დამლევს შემდეგ, ხოლო სავაჭრო ადგილებში პირველ ივლისიდგან უქმეობით შეიძლება ივაჭრონ დღეში არა უმეტეს 5 საათისა. ამავე დროს ადგილობრივს მთავრობას ნება ეძლევა შეამციროს ეს დროც, რამდენადაც ჰსურს, და ან სრულიად მოსპოს კიდეც ვაჭრობა უქმეობითა დ კვირაობით. ზოგმა დიდმა ქალქმა უკვე ისარგებლა ამ უფლებით და კვირა-უქმეობით ვაჭრობის ნება მისცა მხოლოდ 3—4 საათით. მოსალოდნელია, რომ სხვა ქალაქებიც ისარგებლებენ ამავე უფლებით და შეიძლება ყველგანაც მოსპონ კვირა-უქმეობით ვაჭრობა, თუ-კი დარწმუნდნენ, რომ ამის გამო მყიდველები დიდს ზარალში არ იქნებიან. გერმანელნი ნოქრები ამ ჟამად ძლიერ განწყობილნი არიან და დიდის გულმოდგინებითა და მხნედ ეძიებენ გაუკეთესებას თავიანთ ყოფა-მდგომარეობისას. იმ კვირია კელნში კრება მო-

ხდა ნოქართა საზოგადოებისაა, რომელსაც 100,000 წევრი ჰყავს. კრებას, გარდა კვირა-უქმეობით ვაჭრობის აღკრძალვისა და დასვენებისა, იმის თაობაზედაც ჰქონდა სჯა, რომ ნოქრებსაც ისეთივე უფლება მიენიჭოთ პირობისა და ვადის დადების საქმეში, როგორც თითონ ვაჭრობის პატრონებსა აქვთ მინიჭებული კანონით. გერმანიის მთავრობა ეს ერთი ხანია დიდს ყურადღებას აქცევს ნოქართა საჩივრებსა და თხოვნებს. კელნში მუშათა კრებას დაესწრო ბერლინიდგან მინისტრის მიერ გაგზავნილი მოხელე და მოისმინა ყოველივე თქმული კრების დროს. ეხლა ხან ბერლინში დაარსდა საასტატისტიკო კომისია შრომისა, რომელმაც თავის პირველ გამოსაკვლევ საგნად აღნიშნა აღებ-მიცემაში მოსამსახურეთა და მოჯამაგირეთა ყოფა-მდგომარეობა. თვით ნოქრებმაც იგრძნეს დიდი სარგებლობა ხსენებულის კომისიისა და თავისით შეუდგნენ შეკრებას ცნობებისას თავიანთ საშოვრის შესახებ. ამას მით უფრო ადვილად ახერხებენ გერმანელი ნოქრები, რომ თავიანთი საკუთარი საპროფესსიო გაზეთები აქვთ დაარსებული და იქა ცხადდება ყოველივე ზემოხსენებულგვარი ცნობა.

## დეპეშა

17 ივნისი

**მოსკოვი.** გუშინ საღამოს დასრულდა კრება არყის მხდელთა, და გადაწყვეტილი იქმნა დააარსონ სპეციალური ჟურნალი არყის ხდისა და ან იშუამდგომლონ, რომ ოფიციალური ჟურნალი დაარსდეს ამავე საგნისა.

**ლონდონი.** გამოცხადებულ იქმნა ბრძანება დედოფლისა იმის შესახებ, რომ დათხოვნილ იქმნას პარლამენტი და მოიწვიონ ახალი 4 აგვისტოს.

18 ივნისი

**პეტერბურგი.** ბაქოში 15 ივნისს სახოლერო სამკურნალოებში მიყვანილ იქმნა 55 ავადმყოფი, გარდაიცვალა 39, მორჩა 14, დარჩა სამკურნალოებში 121. სამკურნალოებ გარეშე გარდაიცვალა 18. 17 ივნისს ასტრახანის რეიდში შეჩერებულთ 4 ავადმყოფში ერთი გარდაიცვალა, სამკურნალოში მიიყვანეს ერთი საეჭვოდ ავადმყოფი. ასტრახანში ავად არავინ არ გამხდარა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივნისი

| | მყიდვე-ლის. | გამყი-დველის. | გაყიდუ-ლის. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,03 | 8,07 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160 1/2 | 161 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5 % პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 220 3/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6 %. . . . . . . | 102 1/4 | — ,, | — ,, |
| 5 %. . . . . . . | 99 1/4 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6 %. | 102 1/2 | — ,, | — ,, |
| 5 %. . . . . . . | 99 1/2 | — ,, | — ,, |
| 5 % ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98 3/4 |

## გამოსადეგი ცნობანი

### ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

---

**ფოთიდგან გადის:**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ, რადგანაც 12-სა და 13-ს ივნისს ამა წლისას დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, მეორედ და უკანასკნელად დანიშნულია ვაჭრობა ამა 1892 წელს 27 ივნისს, შემდეგის მამულების გასყიდვა.

1, ქალაქის მამულები

ნაზაროვისა, ალექსანდრე ივანეს ძის (მამედ-ოღლისა): ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 180 კვ. საჟ., ტფილისის 6 ნაწილში, 1 განყოფილებაში. თავნი ვალი 4625 მან. 86 კაპ., შემოსატანი 2227 მ. 83 კ., სულ 6853 მან. 69 კაპ.

აგოფჯანოვისა, კარაპეტ სარქისას ძისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი ფლიგელი, ერთ-სართულიანი შენობა, ერთ-სართულიანი მაღაზია სარდაფით, ერთ-სართულიანი დუქანი, ფურნე და სამი დუქანი ქ. ახალციხეში. თავნი ვალი 2742 მ. 7 კ. შემოსატანი 186 მ. 57 კაპ., სულ 2928 მ. 64 კაპ.

ჯორჯაძეთა, ეკატერინე სიმონის ასულისა, მართა, ქეთევან და ივანე სერგეის ძისა და ასულთა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, კუთვნილებითურთ და ხეხილიან ვენახითა მიწა ზომით 1081 კვ. საჟ. ელისავეტოპოლში თავნი ვალი 1721 მ. 2 კ., შემოსატანი 119 მ. 99 კაპ., სულ 1841 მან. 01 კაპ.

მელიქ-აღამალოვისა, ალექსანდრე მათეს ძისა: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, სამი ფლიგელი, ერთი ერთ-სართულიანი და ორი ორ-სართულიანი, ერთ-სართულიანი სახლი დ ორი ფლიგელი: ერთი ერთ-სართულიანი და ორი ორ-სართულიანი, მიწა ზომით 919 კვ. საჟ., ქ. ერევანში. თავნი ვალი 8006 მ. 24 კ., შემოსატანი 599 მ. 33 კაპ., სულ 8595 მ. 57 კაპ.

მელიქ-აღამალოვისა, ალექსანდრე მათეს ძისა: ორ-სართულიანი სახლი, ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, სამი [illegible]-სართულიანი სახლი და ორი ერთ-სართულიანი მიშენებულით და სარდაფი, მიწა ზომით 652 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ერევანში. თავნი ვალი 7619 მ. 19 კ., შემოსატანი 352 მ. 42 კ., სულ 7971 მ. 61 კაპ.

2. სოფლის მამულები

სტაროსელსკისა, ეკატერინე თედოსის ასულისა: სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები, ტყე, ხეხილიანი ვენახი, წისქვილები და მიშენებულები. მიწა ზომით 1446 დეს. 2294 კვ. საჟ. ტფილისის გუბერნიისა, გორის მაზრის სოფ. სკრაში. თავნი ვალი 30728 მ. 6 კ., შემოსატანი 14937 მან. 85 კაპ., სულ 45665 მან. 91 კაპ.

რუსიევისა, გრიგოლ გიორგის ძისა: სახნავი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 267 დეს. ტფილისის, გუბერნიის თელავის მაზრის დაბა ზემო ხოდაშენში. თავნი ვალი 2447 მან. 79 კაპ., შემოსატანი 306 მან. სულ 2753 მ. 79 კაპ.

ჩოლოყაშვილისა, აბელ ოთარის ძისა: სახნავი ადგილები მიწა ზომით 71 დეს. ტფილის გუბერნიის თიონეთის მაზრის დაბა სვიმონიანთ-ხევში. თავნი ვალი 1967 მ. 66 კ. შემოსატ. 104 მ. 9 კ., სულ 2071 მ. 75 კაპ.

თარხან-მოურავთა, ივანე, ესტატე, ნიკოლოზ, ვასილი, დავითი და ნიკო ლუკას ძეთა, თამარ დავითის ასულისა და მარიამ ლუკას ასულის საყვარელიძესი: სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილები და ტყე მიწა ზომით 810 დეს. 600 კვ. საჟ. ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის დაბა სათარამოში. თავნი ვალი 8603 მ. 50 კ., შემოსატანი 406 მ. 82 კ., სულ 9010 მ. 32 კ.

მაყაშვილისა, გრიგოლ რევაზის ძისა: სახნავი, საბალე, საშენობო და საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 674 დეს. 1338 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრის დაბა რუისპირში და იყალთოს, თავნი ვალი 29925 მ. შემოსატანი 892 მ. 14 კ., სულ 30817 მან. 14 კაპ.

ერისთავისა, იოსებ დავითის ძისა: ტყე და მიწა ზომით 183 დეს. 1920 ოთხ-კუთ. საჟ. ტფილისის გუბერნიის თიონეთის მაზრის დაბა ბოჭორმაში. თავნი ვალი 1800 მ. შემოსატანი 163 მ. 96 კ., სულ 1963 მ. 96 კაპ.

(1—1)

---

### ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, თავის წესდების მე-15 § ძალით, აცხადებს, რომ 23 ივლისს 1892 წელს, დილის 12 საათზედ ტფილისში ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, საკუთარს სახლში, დანიშნულია საჯაროდ გასყიდვა ვაჭრობით, ვაჭრობის განუმეორებლად, **გრიგოლ სკანდარის ძის თანდოევისა**, რადგანაც ამ ბანკიდამ აღებულ სესხის ხვადრი გარდასახადი არ შემოიტანა, ის გარდასახადი, რომელიც დაწესებულია ბანკის წესდების მე-13, 14, 15, 17, 18, და 19 § §-სამებრ. ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 § თანხმად, დაიწყება 1257 მან. 88 კაპეიკიდამ, რომელიც შესდგება თავნის ვალისაგან 1200 მან. და შემოსატან გარდასახადისაგან 57 მან. 88 კაპ. ზედ-დართვით იმ ფულისა, რომელიც ამ მამულზე ირიცხება სახელმწიფო ხარჯისა, საქალაქო და საერობო გარდასახადისა. თავნი ვალი შესაძლოა გასტუმრებულ იქმნას იმავე ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომლის სახელ-დებული ფასი მანათი მანათად იქმნება მიღებული. შეიძლება აგრეთვე, რომ იგი თავნი ვალი ვალადვე იტვირთოს მსყიდველმა. ვადაზე შემოსატანი და სხვა გარდასახადი უნდა გასტუმრებულ იქმნას ნაღდის ფულით. თუ 23 ივლისს 1892 წელს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების 21 § ძალით, ინიშნება მეორედ და უკანასკნელად ვაჭრობა 8 აგვისტოს 1892 წელს. ბანკის წესდების მე-16 § ძალით, მსესხებელს ნება აქვს შემოიტანოს ხვედრი შემოსატანი ვადის გადაცილებისათვის დაწესებულ სარგებელითა და ყველა იმ ფულითურთ, რაც ხარჯად მოუნდა ბანკს მამულის გასყიდვად დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე. თანდოევის მამული საძოვარ-საბალახე ადგილებია და ხეხილიანი ვენახი, ზომით სულ 8 დესეტინა 2383 ოთხ-კუთხი საჟენი და მდებარეობს ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ გლდანისში, სახელწოდებით „საბურთალო.“

(3—2)

---


## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—62)


### წერ. „ა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ. I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| გეომეტრია მ. ზ. ყიფიანისა, ნაწილი | | |
| „ II სტერეომეტრია | | |
| „ უმდაბლესი გეოდეზია | | |
| „ IV ზოგიერთი კახონები ტრიგონომეტრიისა | | |
| და „ V—ლოგარითმოსის ტაბლიცები . . . | „ | 50 |